ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 160

ქალაქი ქუთაისი 9 სექტემბერი 2020 წელი

„ქალაქ ქუთაისში, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ არჩევნებში მონაწილე სუბიექტებისათვის საარჩევნო ბეჭდითი სააგიტაციო მასალების /პლაკატების/ გასაკრავი ადგილების გამოყოფისა და წინასაარჩევნო კამპანიის /აგიტაციის/ ჩასატარებელი შენობა-ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 აგვისტოს № 190 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-9 პუნქტის, 46-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისში, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ არჩევნებში მონაწილე სუბიექტებისათვის საარჩევნო ბეჭდითი სააგიტაციო მასალების /პლაკატების/ გასაკრავი ადგილების გამოყოფისა და წინასაარჩევნო კამპანიის /აგიტაციის/ ჩასატარებელი შენობა-ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 აგვისტოს №190 დადგენილებაში, კერძოდ:

1. დადგენილების მე-2 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „**მუხლი 2.** ცნობად იქნეს მიღებული, რომ ბეჭდვითი სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსება/გაკვრა აკრძალულია საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, საგზაო ნიშნებზე, ირ.აბაშიძის გამზირზე კინო „სულიკოდან“ „ავტოქარხნის“ გზაგამტარ ხიდამდე, ბაგა-ბაღებისა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობებზე, სპორტის სასახლის შენობაზე, მუზეუმების, თეატრებისა და რეაბილიტირებული შენობების ფასადებზე, გარე-განათების ბოძებზე, მწვანე ნარგავებზე.“.

2. დადგენილების მე-3 მუხლში შეიცვალოს მე-2 და მე-4 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ახალგაზრდობის გამზირის №21-ის დასავლეთით არსებული ნაპირსამაგრი ნაგებობების ფასადი.“

„4. დავით მანდარიას ქუჩაზე არსებული კედელი №12 საჯარო სკოლიდან სადგურის მოედნამდე.“.

3. დადგენილების მე-4 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „**მუხლი 4.** დადგენილების მე-3 მუხლში მითითებულ მისამართებზე განთავსებულ სტენდებზე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას პლაკატები ზომით არაუმეტეს, სიგრძე 60 სმ. სიგანე 42 სმ. (A2 ფორმატი).“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 9 სექტემბრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ირაკლი შენგელია